



## სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 15/01-08-14

ქ. თბილისი

15 08 2017 წ.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით **საბაკალავრო** პროგრამების პირველ კურსზე და **ქართული ენის** საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლებამოსიებული აბიტურიენტების რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის და მე-4 პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ნესტან კეკელიას მოხსენებითი ბარათი სარეგისტრაციო № 15/01-1712 31 ივლისი 2017წ. შესაბამისად

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

დამტკიცდეს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით **საბაკალავრო** პროგრამების პირველ კურსზე და **ქართული ენის** საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლებამოსიებული აბიტურიენტების რეგისტრაციის ვადები:

1. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩარიცხვის მიზნით **საბაკალავრო** პროგრამების პირველ კურსზე და **ქართული ენის** საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების უფლებამოსიებული აბიტურიენტი სწავლების მსურველი ვალდებულია:

- 2017 წლის 5 სექტემბრიდან 20 სექტემბრის ჩათვლით გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია, რაც გულისხმობს სწავლის სემესტრული საფასურის სრულად გადახდას.  
აბიტურიენტს თანხის გადახდა შეუძლია ნებისმიერ ბანკში:

**საბანკო რეკვიზიტები: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა**

**მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი: TRESGE22**

**მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 7 0904 7289**

- წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:
    1. პირადობის მოწმობა (ასლი);
    2. წვევამდელის მოწმობა (ასლი) ვაჟებისათვის;
    3. საშუალო განათლების დამადასტურებელი მოწმობა (ატესტატი);
    4. თანხის გადახდის ქვითარი (ასლი);
    5. სამი ფოტოსურათი (3X4) ელექტრონულ ვერსიასთან ერთად.
2. დოკუმენტების მიღება იწარმოებს ყოველდღე 10<sup>00</sup> საათიდან 17<sup>00</sup> საათამდე (შაბათ–კვირის გარდა) სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ სასწავლო კორპუსში, თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას (ყოფილი ჯიქიას №9) ქუჩა №61  
ოთახი №307 ( ჰუმანიტარულ, ეკონომიკისა და ბიზნესის, იურიდიული, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტები)  
ოთახი №507 - ( განათლების, მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტები)
- აბიტურიენტი, რომელიც დადგენილ ვადაში არ გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას კარგავს ეროვნული გამოცდებით მოპოვებულ სწავლის უფლებას..
  - დაევალოს შესაბამის სამსახურს უზრუნველყოს ბრძანების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად განთავსება;
  - ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი

ზურაბ ხონელიძე